სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363


## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან

აგადმყოფ არტისტი ქალის კნ. ბარ. ავალიშვილის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქნება

— პირველად ახალი პიესა —

### სიულივან

კომედ. 3 მოქმ. თხზ. მელვილისა, თარგ. დ. მესხისა

დასასრულ

### სცენები „მიროვოი სუდიასთან"

ერთ მოქმ. თხზ. დ. კეზელისა

მოთამაშენი: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, გალუსტოვისა; ბ. აბაშიძე, მესხი, შათირიშვილი, კანდელაკი, იმედაშვილი, თამაზიშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი

ადგილების ფასი დაკლებულია—ლოჟები ლიტერისა 9 მან., ბენუარისა 6 მან., პირდაპირი 4 მ. 50 კ., გვერდისა 3 მ. 50 კ. ამფითეატრი 50 კ. პარტერი: სკამი 1 რიგისა 3 მ.; 2 და 3 რიგისა 2 მ.; 4 და 5—1 მ. 50 კ.; 6, 7, 8 და 9—1 მ. 20 კ.; 10, 11 და 12—1 მ.; 13 და 14—80 კ.;—15 და 16—60 კ. გალერეა: პირდაპირი I რიგ. 40 კ., დანარჩენი 35 კ. გვერდისა I რიგ. 35 კ. დანარჩენი 25 კ.

---

ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა"

ქარხანამ მოიწვია გამოჩენილი ოსტატი, მეჩუქურთმე და კანკელის მკეთებელი, ა. აფ. ბატანოვი; მოიწვია აგრეთვე კარგი მცოდნე მებელის გადაკვრისა გ. ჯაფარიძე. ამიტომ „შრომა" იღებს შეკვეთას და [illegible]ობას სდებს, რომ ძალიან კარგად შეასრულებს საქმეებს: სადურგლოს, საჩუქურთმოს, სახარატოს, კანკელისა და ძვირფას კარებების გაკეთებას, მებელის გადაკვრას, ფარდების გაკეთებას და ოთახების მორთვას, ლეიბების გაკეთებას და სხვა.

ამ ჟამად ქარხანასთან მებელის საწყობიც არის გამართული, სადაც იყიდება:

1. დიდი და მშვენიერი აბანოზის ბუფეტის შკაფი . 160 მ.
2. ქორაფის შკაფი ტანისამოსისა . . . . 120 „
3. ლეიბები ზღვის ბალახისა . . . . 5 „
4. წიგნის შკაფები . . . . . . . 30—35 მ.
5. შიფანელკა . . . . . . . 80 მ.

პირის-საბანები, პატარა შკაფები, სადილისა და საწერი მაგიდები.
(100—51)


ჩვენი „კრებული" მეორე წელიწადში გადადგა. ამ მეორე წლის პირველი ნომერი ენკენისთვეში უნდა გამოსულიყო, მაგრამ ჩვენის ჟურნალისვე სასიკეთოდ განზრახ შევაჩერეთ გამოცემა რამოდენიმე თვით და მხოლოდ იანვრიდან განავგრძებთ გამოცემას და წელიწადიც მომავალი 1899 წ. იანვრიდან დაიწყება. დღემდი ჩვენ უფლება არა გვქონდა, რომ, გარდა ყოველგვარ ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვებეჭდა ჩვენს „კრებულში", დღეს-კი ნება გვაქვს, რომ სხვებისაც ვბეჭდოთ ხოლმე და უკეთესმა ჩვენმა მწერლებთაგანმა კიდეც აღგვითქვეს დახმარება. ფასი იგივე დარჩება: გაგზავნით ფოსტით—7 მ., ადგილობრივ გაუგზავნელად—6 მ., ნახევარის წლით 4 მ., თვიურად და კერძო ნომერი—60 კ.

რედაქცია გადატანილ იქმნება დაბა ყვირილაში (ზესტაფონში) ლამბაშიძის სახლებში.

კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ჩვეულებრივზე იაფად და განცხადების ფულის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ.

დასასრულ მადლობას ვუძღვნი მათ, ვინც წარსულ წელში გვეხმარებოდა და იმედია, რომ არც მომავალში მოგვაკლებენ თანაგრძნობას.

მომავალი წლის ხელის-მოწერა უკვე დაწყებულია. ადრესი გამომწერლებისათვის: დაბა ყვირილა, „კრებულის" რედაქცია. М. Квирилы. Редакція «Кребули» და თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

«კრებულის» რედაქტორი და გამომცემელი
(10—6) აკაკი


„შუამავალი"

ამხანაგობის მაღაზიაში

მიღებულია ახლად:

ყავები, შეკოლადი და კაკაო, „პეჩენიები", სასმელები საზღვარგარეთისა, ხმელი ხილი, მდოგვი საზღვარ-გარეთისა და რუსეთისა, ბელიონი „გუსტო", პიურე ტომატი (პამიდორი), კონსერვები ყოველგვარი თევზეულობისა, კონსერვები ატმისა, ბალისა, ჰერმისა.

კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. გ. ი. მუხრანბატონისა № 6/1.

---

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (Წ.)

---

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ბერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი. 20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორია ი არის კაბინეტია საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.


## ახალი ამბავი

*** მთავარ-მართებლის მოგზაურობა. კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. გ. ს. გოლიცინი ბაქოდან ყუბანის მაზრაში გაემგზავრება, შემდეგ-კი ქ. დარუბანდში. ტფილისში მთავარ-მართებლის დაბრუნება განზრახულია 14 ნოემბრისათვის.

*** გამგეობის წევრთა არჩევნები გადადებულია 23 ნოემბრისათვის.

*** ერობის საქმე კავკასიაში. როგორც მოგეხსენებათ, ამ წლის ზაფხულზე ყველა მაზრის თავად-აზნაურთა კრებამ აუცილებლად საჭიროდ იცნო კავკასიაში ერობის შემოღება. ამ ჟამად გუბერნიის წინამძღოლს განზრახვა აქვს დანიშნოს გუბერნიის თავად-აზნაურთა არა ჩვეულებრივი კრება, რომელმაც საბოლოოდ უნდა გადასწყვიტოს ეს კითხვა. კრების მოწვევა განზრახულია მომავალი წლის თებერვალში.

*** ჯუმათის სადგური. სადგურ ჯუმათიდგან გზათა მინისტრს ამას წინათ რომ თხოვნა მიართვეს მღ. ნ. ჯ. ხელით, ის თხოვნა მინისტრმა შეიწყნარა და სადგურს მიეცა მისს სახელზედ „ტარიფი" და მატარებელიც ჩერდება 15 ოქტომბრიდან, რაიც ცირკულიარით ეცნობა სადგურის უფროსს.

*** ს. მილილოვის საქმე. 13 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საყურადღებო საქმე ს. მილილოვისა, რომელსაც ბრალდება, რომ მან გრ. მირზოევს წარუდგინა ფულის გადასახდევინებლად 40,000 მანეთის გაბათილებული ვექსილი, თუმცა კარგად

ილოდა, რომ ამ ვექსილს ძალა აღარ ჰქონდა. მილილოვმა საპელაციო საჩივარი გადაიტანა სამოსამართლო პალატაში ოლქის სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც მას მიესაჯა ყოველგვარ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ტუსაღთა განყოფილებაში 1 წლით და ოთხი თვით დატუსაღება.

*** **ქალაქის გასუფთავების საქმე.** ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქის მოურავს, ქალაქის საბჭოს შარშანდელ დადგენილების შესასრულებლად და ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, განკარგულება მოახდინეთ, რომ აღებულ იქმნეს სალდათის ბაზარზე დროებითი ხის დუქნებიო.

7 და 9 ნოემბერს პოლიციამ საბჭოს ექიმებთან ერთად დაათვალიერა 700 სავაჭრო დაწესებულება, რომელთაგან თითქმის $^{2}/_{3}$ ნაწილი უსუფთაო აღმოჩნდა. ზოგიერთ ამ დაწესებულებათა მეპატრონეს ორი-სამი დღით ვადა მიეცათ მათ გასასუფთავებლად, ზოგიერთი მეპატრონენი—კი სამართალში იქმნენ მიცემულნი

*** **ავადმყოფობა ტფილისში** 1 ნოემბრიდგან 8-მდე, ქალაქში ავად გამხდარა ყვავილით 8 კაცი, ყელ-ქირვებით—3, ხუნაგით 1.

*** **ელექტრონის რკინის გზა.** ადგილობრივ კაპიტალისტებს, როგორც ისმის განზრახვა აქვთ გაიყვანონ ელექტრონის რკინის გზა ტფილისიდან ს. კოჯორამდე. მათი გამოანგარიშებით საქმისათვის საჭიროა 600,000 მან.

*** **30 ათასი მანეთის პოვნა.** ამ დღეებში კნეინა ნატალია მაჩაბლისამ დაჰკარგა ყორღანოვის ქუჩაზე, ჩემოდანი, რომელშიაც ჰქონდა 30 ათასი მან. ჩემოდანი უნახავს ვილაც ფრიდმანს, რომელსაც იგი პოლიცმეისტრის გამგეობისათვის წარუდგენია, ფული პატრონს დაუბრუნეს.

*** **კრილოვის ძეგლი.** პეტერბურგი სავსეა ძეგლებით. ისე ბაღს, ან ცოტა მოზრდილ მოედანს ვერ ნახავთ, რომ ძეგლი არ იყვეს აგებული რომელიმე მამულიშვილისა, რომელსაც კი შესამჩნევი კვალი დაუტოვებია რუსეთის პოლიტიკაში ან ლიტერატურაში. აქ თქვენ შეხვდებით მეფეთა ძეგლებს: პეტრე დიდისას, ეკატერინე მეორისას, ალექსანდრე კურთხეულისას, სარდლებისას, ლიტერატორებისას და სხვ. მაგრამ ყველა ძეგლებისაგან გაირჩევა დიდებულ მეიგავარაკე ი. კრილოვის ძეგლი. ეს ძეგლი თავისის ხელოვნებით იზიდავს მნახველის ყურადღებას და დიდს ინტერესს ჰბადავს მასში. შეიძლება ფასით უფრო მცირე იყვეს დამჯდარი სხვა ძეგლებზე თვითოეულად, მაგრამ ყველას-კი სჯობია ხელოვნებით. ამ ძეგლის ნახვაზე, ვისაც-კი უკითხავს კრილოვის იგავ-არაკები, ყველა გაახსენდება, და ვისაც არ უკითხავს, თუ იგი წერა-კითხვის მცოდნეა, უეჭველად იშოვნის კრილოვის თხზულებას და დიდის ინტერესით წაიკითხავს ბოლომდის.

კრილოვის ბიუსტი თლილ ქვის პედესტალზე დგას. თვითონ სახე კრილოვისა თუჯიდანაა ჩამოსხმული. მთლად ძეგლი სიმაღლით 2 საჟენი იქნება. დიდებული მწერალი ძირს ზის, ჩაფიქრებული, დაღვრემილი ჩრდილოეთისაკენ გაიცქირება; ხელში წიგნაკი უჭირავს და თითქოს მრუდე გზით მსვლელებს ეუბნება: ყველაფერი თქვენი გაიძვერობა ვიცი, შენ მგლად გადაგაქცევ, შენ რეგვენ მაიმუნად დაგსახავ, შენ სისხლის მსმელ ლომად, ამ ჩემ წიგნში ჩაგწერ და მომავალს გადავცემ თქვენს ბოროტებით სავსე სახელს, რომ საწყალ უმანკო კრავს მოსვენებას არ აძლევთო.

დიდებულ კრილოვის ფერხთით გამოქანდაკებულნი არიან თუჯისაგანვე ყველა ის მხეცები და ცხოველები, რომელნიც გამოჰყავს კრილოვს თავისს იგავ-არაკებში მოქმედ პირებად.

ისეთის ხელოვნებით არიან ჩამოსხმულები მისი „მემუზიკეები“, რომ კაცი ალტაცებაში მოდის და აგონდება ოდესმე წაკითხული იგავარაკი: „მაიმუნმა, დათვმა და თხამ მოიწვიეს ვირი, იშოვნეს დაფიქამანჩა, ნაღარა და სტვირი“. შეუყრიათ თავი ამ ოთხ ცხოველს და გაუმართავთ „კონცერტი“. შუაში მაიმუნი ჩამდგარა, ხელში სკრიპკა უჭირავს, დანარჩენებსაც თითო-თითო საკრავი ამოუჩრიავებიათ და მაიმუნის ლოტბარობით გააქვთ და გამოაქვთ...

იქით მძლავრ ლომს, მხეცთა მეფეს, ძალათოვის სიმბოლოს წამოუქცევია ირემი, მძლავრად ბასრი ბრჭყალები ჩაუსვია და თავისუფლად შეექცევა ნანადირევს. იქვე ახლოდან-კი პირ-ცარიელი ამხანაგები: მელა, მგელი და დათვი შესცქერიან.

მეორე გვერდზე წეროს თავისი გრძელი კისერი მგლისთვის ჩაუყვია ყელში და მსუნაგობისას დამდგარ ძვალს აცლის ყელიდან...

აი იქით ცბიერი მელა ძირს დაცუცქული და ბრიყვ ყვავს ქებას ასხამს, რათა ყველის ნაჭერი დასცინცლოს; მაგრამ აქ გამარჯვებული მელა ყურძნის, ქარვასებრ მოკამკამე ტევნებს, ვერ შესწდომია და მკუხეაო გაიძახის. აი აქეთ ბეჩავთ, უმანკოთ მჩაგრავთ სისხლის მწოველი მგელი კრავს უბღვერის, წყალს ნუ მიმღვრევო, წყლის სათავეში დაბლა მდგომ კრავს ეუბნება, ხმასაც არ ამოგაღებინებო, „მშივა დადამნაშავე ხარო“, ეუბნება და ბოლოს უღებს. იქვე კუთხეში უვიცი მამალი, ნაგავში ნაპოვნ მარგალიტს იქით ისვრის, არ ვარგა, რაში გამოსადეგიაო. რეგვენი დათვიც იქვე წამოკოტრიალებულა და თავის ოდენა ჯირგს აგორავებს, თავის თავი მშრომელი ჰგონია.

ერთი სიტყვით, ყველა იგავ-არაკის შინაარსს ამოიკითხავს აქ კაცი და თქვენ კითხულობთ წიგნში კი არა, ძეგლზე; ეს უმატებს ძეგლს სიდიადეს, სიმშვენიერეს და როგორც თვითონ მწერალი იყო თავისებური, ორიგინალურ მწერალთა შორის, ისე მისი ძეგლია ორიგინალური და დიდის ხელოვნებით ჩამოსხმული და კიდევაც ეკუთვნის დიდებულ მწერალს, მეიგავ-არაკე—ბაბუა ი. კრილოვს ამისთანა ძეგლი.

მ. ლიხელი

ქ. პეტერბურგი.

*** **ს. აკეთი** (გურია) **საქალებო სკოლის დაარსება.** თითქმის ყველამ უწყის, რომ გურულები პროგრესიული ხალხია: საქართველოში არსად არის იმდენი სასწავლებლები, წიგნთ-საცავები და სხვა ამგვარი დაწესებულებანი, რამდენიც ამ კურთხეულ კუთხეშია. თუმცა გურულები მატერიალურათ ღარიბები არიან, რის მიზეზითაც უნდა ჩაითვალოს ნაწარმოებისათვის ბაზრის უქონლობა და სხვა გზების უვარგისობა, მაგრამ მაინც სწავლა-განათლებისათვის მზადარიან უკანასკნელი კაპეიკიც ამსაქმეს მოახმარონ. კვირას, 1 ნოემბერს აკეთის საზოგადოების მამასახლისი პ. თოხაძე და მასწავლებლები საზოგადოებას ესაუბრნენ საქალებო სკოლის საჭიროების შესახებ. საზოგადოება გულმოდგინებით უსმენდა მათ, რის შემდეგაც დაადგინეს განაჩენი დაარსონ აკეთში საქალებო სკოლა. განაჩენს ყველამ დიდის სიხარულით მოაწერა ხელი. სასიამოვნო შესახედავი იყო, როცა ყველანი გაიძახოდნენ: „კარგია! დავაარსოთო. ყოველ საზოგადოებაში ერთ გვარი ადამიანები ბრძანდებიან, რომლებიც მხოლოდ იმისთვის გამოცხადდებიან ყრილობაში, რომ ყოველ კეთილ საქმეს წინ გადაეღობონ. სამწუხაროდ ბევრს ადგილას ამ გვარ ვაჟბატონებს ხშირად რჩებათ ბურთი და მოედანი, მაგრამ აკეთის საზოგადოებამ ამ გვარი ვაჟბატონები კინწის კვრით გააგდო და თავისი სასარგებლო და კეთილი განზრახვა კეთილად დააგვირგვინა. სასურველი სხვა საზოგადოებანიც წაბაძვიდენ აკეთლებს და იმ მყვირალა ვაჟბატონებს, რომლებიც უთავო მოთავე კაცებად გამოდიან ყრილობაში და კეთილ საქმეს წინ ეღობებიან პირში ჩალაგამოვლებულებს გაუშვებენ.

იმედია ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორი ბ. ლევიტსკი შეიწყნარებს აკეთლების თხოვნას, რომლითაც სთხოვენ მას იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს ამ ახლად დასაარსებელს სკოლას ხაზინამ ყოველ წლიური შემწეობა აღმოუჩინოს.

უტუ კრიმანჭულია

*** **ღ. ოჩამჩირე** (აფხაზეთი). **საზარელი ავაზაკობა.** მთელი ოჩამჩირეს მცხოვრებნი აალელვა ერთმა არა ჩვეულებრივმა საზარელმა ავაზაკობამ. 5 ნოემბერს პოლიციას შეატყობინეს: აქაური მოხელე (მეთოფე) ანტონ შელია, რომელიც თავის დუქანს ერთს საათსაც არ სცილდებოდა, დაიკარგაო. დუქნის კარს ბოქლომი ჰქონდა დადებული. პოლიცია შეუდგა ძებნას, მაგრამ ყოველივე შრომამ მუქთად ჩაიარა—შელია არ აღმოჩნდა. მეორე დღეს დუქანი გატეხეს და აი რა ნახეს: დუქანში ყოველისფერი მინგრეულ-მონგრეული იყო, ყუთები დამტვრეული იყო და ქაღალდები აქეთ-იქით ჭაფანტული; ზევით ჭერის ფიცრები ჩამტვრეული იყო, საიდანაც ბოროტ-მომქმედნი ჩამძვრალან; ქვეშაგებ-საბანი ნაკუწ-ნაკუწად დაფლეთილი იყო, შელია კი არც არ აღმოჩნდა. ეჭვი არ არის კაცი მოკლული უნდა იყოს, ხოლო რა უყვეს მკვდარს, იმათმა ბოროტმა სულმა უწყის. პოლიცია სასტიკად დაეძებს ავაზაკებს. თვით ანტონ შელია უცოლშვილო ახალგაზდა კაცი იყო, მასთან ცნობილი, როგორც ფულიანი კაცი, რომელიც ასესხებდა ფულებს და უკანონო სარგებელსაც ახდევინებდა, აგრეთვე ცნობილი იყო თავისი ცინიკური ცხოვრებით. დუქანში ბიჭს არ იყენებდა, არც სტუმარს იღებდა და არც სტუმრად ეწვეოდა ვისმეს. ხომალდით არ დადიოდა თურმე. ერთ ჭიქა ღვინოს დიდ დღესასწაულში თუ დალევდა. ფული თურმე ყოველთვის ჰქონდა 2000—3000 მ. ვექსილები 5—6 ათასი მანეთისა. დუქანში არც ფული აღმოჩნდა და არც ვექსილები. რამდენიმე შენიშნული კაცი დაჭერილია.

— **სასიკვდილოდ კაცის დაჭრა.** მეორე სამწუხარო ახალი ამბავი ის არის, რომ 4 ნოემბერს სასიკვდილოდ დასჭრა სოფ. ბედიის მცხოვრებმა მახარიამ იმავე სოფლის მცხოვრები აზ. მაჰმუდ წუშბაია. დაჭრის მიზეზი აი რა იყო:

შარშან ამ დროს მოკლულ იქმნა თავისავე სახლში მთელ აფხაზეთ-სამურზაყანოში ცნობილი ვაჟკაცი, მდევნელი ქურდობა-ავკაცობისა კელეცა მახარია, რომლის მოკვლა დაბრალდა მახმუდ წუშბაიას შვილს და მის მეგობარს გ—ლიას, რადგანაც მახმუდ წუშბაიას და მახარიას შორის მტრობა და შური იყო ჩანერგული. ეს საქმე გასულ ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში გარჩეულ იქმნა სოხუმში ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიას მიერ, რომელმაც დამნაშავედ იცნო წუშბაია (შვილი) და გ—ლია და ათ-ათი [..]ლიწადი მაღნებზე მუშაობა გადაუწყვიტა. მაჰმუდ-წუშბაია (მამა) გადურჩა ყოველგვარ სასჯელს. ეს კი არაფრად ეპიტნავა მოკლული მახარიას შვილს მით უფრო, რომ წუშბაია ქადნულობდა თურმე, მასაც დავანახვებ მალე თავის მამასო. აი ეს ორი მოსისხლე მტერი ერთმანერთს შეხვდნენ დ. ოჩამჩირეში. ცხენზე მჯდომი წუშბაიას შეუნიშნავს დუქნის კარზე გაჩერებული თავის მტერი მახარა, რომლისთვის ასეთის სიტყვებით [..]ართეს: „ერთი შვილი დამ[..]ა, მაგრამ სადაც უნდა იყოს [..]ს ცოცხალია, მხოლოდ შენ-კი მამაშენი უნდა დაგანახვო და დამბაჩისკენ გაუსვია ხელი, მაგრამ მახარიას მსწრაფლ დაუკრავს თავში ჯოხი და ცხენიდან ჩამოუგდია მოხუცებული წუშბაია, მერე-კი ხანჯლით ორ ალაგას დაუჭრია— მუცელში და თავში. ჭრილობა ფერშალმა ორაგველიძემ შეუხვია. თვით მახარია პირ-და-პირ პოლიციიში წარსდგა, სადაც შეიპყრეს.

— კიდევ კაცის დაჭრა. ბარემ მე[..]ესაც შეგატყობინებთ და ის ექნება. ამ დღეებში [..]-კალ[..]ლოდ დასჭრა მუცელში დანით ს. ოხურეის (მოსაზღვრეა ოჩამჩირეს) მცხოვრებთ ბახვა პაპაკა მეზობელმავე გლეხმა. პ[..]ვა ტყეში წასულა შეშის მოსატანად, სადაც შეხვედრია თავის მტერი, რომელსაც ჰაპარვით მუცელში დანა დაუკრავს. დაჭრილის მორჩენის იმედი აქვთ. დამჭრელი კი თავის სოფელში[..]

ხორშელი

*** **ს. ხეთა** (სამეგრელო). ერ[..] ძველთაგან ძველი ეკკლესიის გა[..]მო. სხვათა შორის ამ სოფელში არის ერთი უხსოვარი დროის ნაშენები პატარა ქვის ეკკლესია „ურთის“ მთის ქედზე სახელდობრ ჯეგეთაში. სიდიდით ეს ეკკლესია მეტად პატარაა, ასე რომ კარგი უნდა 15—20 კაცი მოთავსდეს [..]იგ. ამაში ძევს ერთი რკინის სი[..]ძით საჟენზე მეტი ძველებური [..]ვილდ ისარი, ერთიც სიდიდით [..]ესანიშნავი სავარცხელი და ზოგიერთ წელს ათობით და ზოგჯერ კი ასობით ფირწლის მსგავს რკინის „ბორძალი“. ამ იარაღებს წმინდა გიორგის ათვისებენ და თან იტყვიან, რომელ წელშიაც მომეტებული ბორძალი იქნება ამ ეკკლესიაში, რომელიც მასვე წმ. გიორგის უნდა მოქონდეს, ის წელი დიდი ნოტიო იქნებაო და როგორც გამოცდილება აქვთ ეს რწმენები არც გაცრუებიათ. ამპატარა შენობას ერთი დასავლეთის კარის მეტი არა აქვს და საკურთხეველიც აღმოსავლეთის კედელზე არის მიკეთებული და თვით საკურთხეველში ორი კაცის მეტი რიგიანად ვერც მოთავსდება. ხატები შიგ არ არის, მხოლოდ, როგორც სჩანს გარდმოცემიდან, აქაური წმ. გიორგის ხატი უნდა ერთ კაცს გვარად კუკავას გამოესვენებინოს და მის მიერვე აშენებულ 3—4 ვერსის მანძილზე, იმავ მთის ძირში ხის ეკკლესიაში დაესვენებინოს, სადაც დღეს არის საშტატო ეკკლესია მშვენიერის მორთულობით და კიდეც უწოდებენ კუკავების წმ. გიორგის ეკკლესიად, ხოლო მთის ეკკლესიას ჯუგეთისა მნათობა მარად კუკავას გვაროვნობას ჰქონიათ და დღესაც მათ ხელშია.

23 აპრილს იციან დღეობა. წინა საღამოს ე. ი. 22 გახდება საყვირის კვრა, შეიკრიბება მღვდელი, ერი, გამოასვენებენ ამ ხის ეკკლესიიდან წმ. გიორგის ხატს და ფეხშიშველა წავლენ ჯეგეთის ეკკლესიაში, იქ დაასვენებენ ხატს და არის მთელი ღამე ლოცვა და იყრება იქ იმ ღამეს რამოდენიმე ათასი მლოცველი სხვა და სხვა საზოგადოება, მაზრებიდან ფეხშიშველა მოდიან თაიან[..] [..]შესაწირავით: ფული, სანთელი, აუცილებლად პატარა მოხარშული გოჭის თავი და პურის ანუ მჭადის კვერით. მიართმევენ მნათეს ანუ კუკავებს, რომელთაგან რამოდენიმე პირი კარებთან დგანან, ამ შესაწირავებს ისინი კი ლოცვით დაჩოქებულ მლოცველს სამჯერ თავზე შემოავლებს და ინახავს შემონაწირს. გოჭის თავი და პური კუკავებსა და სანთელი და ფული კი ეკკლესიას ეკუთვნის. ფულისა და სანთლის ისეთა კალო დადგება დილამდე, რომ კაცი იტყვის ცხენი ვერ გადაახტებაო. ღამის მთეველებს აქვს მთელი ღამე სიმღერა, ცეკვა-თამაში სმა და ქეიფი მინდორში ათას ადგილზე გაჩაღებულ ცეცხლთან და კაცონებთან დილას რა წირვას გარდაიხდის მოძღვარი, დაკვრენ საყვირს და შეუდგებიან თავის ხატით ძირს დიდ ეკკლესიაში წამოსვლას. აქაც მთელი დღე შემოდის შესაწირავი და არის საშინელი მხიარულება. გარდა იმ დღის შემოსავლისა ამ ეკკლესიას არა ნაკლები შემოსავალი უნდა შემოსდიოდეს წლიდან-წლამდე, რადგან როგორც სასწაულთმომქმედი ხატი, ხშირად მოწმების საფიცრათ თუ სხვა საჭიროებებისათვინაც, დაყავთ მთელ მაზრაში. რაც ამ ეკკლესიაში შემოსავალია ჩასაწერი წიგნი დაარსებულა, 1500-მანეთამდე ძლივ მოჩანს შემოსავალი იმ დროს, როდესაც მისი სამრევლო ფიქრობს ათი-ათასობით ეკკლესიის ქონებას ამ ხის შენობას სიძველის გამო ზევიდან წვიმა ჩაუდის და თვით კედლებიც პატარა ქარის დროს საშინლათ ინძრევა, ამიტომ მრევლი ფიქრობს ახალი ეკკლესია აღაშენოს, მაგრამ რიღათი? ეკკლესიას ფული არა აქვს და სამრევლოც ღარიბია. ორი წელიწადი არ არის რაც ამ ეკკლესიას დაენიშნა მღვდელი მ. ი. კანკავა და ცოტათი ახალ მოძღვარმა ცვლილება შემოიტანა. მისი მეცადინეობით და მამობრიულ დარიგებით სამრევლოს თვისი მოსვლა, შესამჩნევად მოემატა შემოსავალი, მშვენიერი ქვითკირის ზღუდე შემოევლო მკვიდრთ მიერ ხსენებულ ეკლესიის ეზოს და სხ., სწორედ მადლობის ღირსია მამა ივანე და იმედიცა გვაქვს არ მოგვაკლებს მომავალშიაც მის მამობრიულ შრომას, აღძრავს ეკკლესიის გადაკეთების კითხვას ვისთანაც ჯერ არს, სანამ ძველი შენობა გვილალატებდეს და გავხდებოდეთ მოკლებული მისი წირვა-ლოცვისა.

ყათრან

*** **ქუთაისი.** ხელოსანთა გამგეობა. 14 წელიწადი იქნება მას შემდეგგ რაც ქუთაისში „ხელოსანთ. გამგეობა“ დაარსდა. მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში არც ერთი კეთილი საქმე არ დაუგვირგვინებია, თუმცა კი ბევრჯელ შეეძლო ეს. საიდან წარმოსდგება ასეთი სამწუხარო მოვლენა? გამგეობაში ბურთი და მოედანი დარჩენიათ იმისთანა პირებს, რომლებსაც მხოლოდ საყველპურო რუსული შეუსწავლიათ, მოუნდომებიათ გემრიელი ლუკმით პირის ჩატკბანურება და საზოგადო მოღვაწეობა კი ფიქრადაც არ აქვთ. აი, ერთი მაგალითი: ამას წინად აქ გარდაიცვალა ერთი ოქრომჭედელი. იგი სიკვდილის წინ ერთი მოულოდნელი შემთხვევის გამო, პატიმრად იჯდა ციხეში. იმ დროს მას დიდი პატივი სცა მესაათების უსტაბაშმა ბ. ი. ხოჯაშვილმა, რომელმაც მას ას მანათამდის დაახარჯა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ საბრალო ოქრომჭედელმა კაი ხანი იავადმყოფა და უკიდურეს მდგომარეობაში იყო თავისი წვრილი ცოლშვილით, მიუხედავად ამისი ხელოსანთა მოურავმა არავითარი განკარგულება არ მოახდინა, რომ რაიმე შემწეობა აღმოეჩინა მასთვის.

გარდაიცვალა თუ არა ხსენებული ოქრომჭედელი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ბ. ი. ხოჯაშვილმა მაშინვე ამქარს სთხოვა, მოვახმაროთ ჩვენის გარდაცვალებულ მოძმის დასაკრძალავად ის ამქრის ფული, რომელიც მე მაქვს სახელდობრ 15 მანათიო, მაგრამ რადგან ამქარში ამაზე მხოლოდ ზოგმა გამოაცხადა თანხმობა, ზოგმა-კი უარი სთქვა, ხოჯაშვილი იძულებული გახდა, რომ ამქარში მოებოჭა ფული, მაგრამ აქაც გულგრილობამ იჩინა თავი: ზოგმა მოიღო მოწყალება, ზოგმა-კი არა, რის გამოც დანაკლისი ბ. ხოჯაშვილმა შეავსო და მით დაკრძალეს განსვენებული. (ბ. ხოჯაშვილი დიდის მადლობის ღირსია ასეთი თავ-გამოდებისათვის). განსვენებულის წვრილი ცოლ-შვილი დღესაც უმწეოთ და უნუგეშოდ ჰყრიან. ასეთი ნუგეშ-დაკარგული კი ქუთაისის ხელოსნებში ბევრია, მაგრამ მათთვის არსაიდან არავითარი შემწეობა არ არის. ამის მიზეზი-კი მათი განუვითარებლობაა. ქუთაისის ხელოსნებში რომ სწავლა-განათლება იყოს გავრცელებული, მაშინ, რა თქმა უნდა, თავიანთ საქმეს უკეთ წაიყვანდნენ — დაარსებდნენ ხელოსანთა კავშირებს, როგორც სხვა ქვეყნებში არის, რომლის შემწეობით მათ ნივთიერი სიმდიდრე უძლიერდებათ; სასწავლებლები, რომლებშიაც „ხელოსანთა“ შვილები უფასოდ იზრდებიან და სწავლა-განათლებას ღებულობენ, რის გამოც „ხელოსანთა საზოგადოებაში“, ხელოსანთა მოურავი ჩვენსავით სანთლით საძებნელი არა ჰყავთ; „გასართობები, სადაც ხელოსნები თაობის მაგიერ, ერთობიან, თუ ცეკვაში და თუ ჟურნალ-გაზეთების კითხვაში, „თავშესაფრები“, სადაც დავრდომილი და ნუგეშ-დაკარგული ხელოსნები თავს იფარავენ და სხ. აი, რამდენი სარგებლობა შეეძლიან მოუტანოს „ხელოსანთა გამგეობამ“, ხელოსანთა საზოგადოებას. მაგრამ, რა ქნას იმ საბრალო სამწყსომ, რომელსაც არა ჰყავს გამგებელი და გულშემატკივარი მწყემსი, რომელმაც ოლონდ კი თავის სამწყსოს ზურგზე არხეინად იკვებოს და იმას არ დაგიდევს მშიერია მისი სამწყსო თუ მწყურვალი.

ანტონასშვილი

# სამეცნიერო ცნობა

სამაგალითო ობლების სკოლა. დასავლეთის ევრო[..]ში დიდი ყურადღება მიიქცია ობლების სწავლა-განათლებას და განსაკუთრებით

გერმანიაში. დღეს იქ დაარსებულია ობლებისთვის ისეთი სასწავლებლები, რომლებიც სხვა დანარჩენს სკოლებს არასფრით არ ჩამორჩებიან. საუკეთესო და სამაგალითო სკოლა არსებობს ბერლინში. ყველაზედ მძიმე და სავალდებულო მოვალეობა მასწავლებლისაა, მაგრამ ობლების აღმზრდელის მოვალეობა უფრო გაორკეცებულია, რადგან ერთსა და იმავე დროს უნდა აასრულოს მასწავლებლობაც და მშობლიური მოვალეობაც, ვიდრე ობოლი ბავშვი ცხოვრებაში გზას არ გაიკვლევს და თავისუფალს ცხოვრებას არ შეეზილება, გარდა ამ მოვალეობისა, მასწავლებელმა უნდა იზრუნოს ობლისთვის შეასწავლოს ისეთი მეცნიერება, ანუ ხელობა, რომ სრულიად თავისუფლად შეეძლოს დააკმაყოფილოს თავისი ცხოვრების არსებობა; ამიტომაც გერმანიაში ეს სასწავლებლები განსაკუთრებითი უფლებებზედ არიან დაფუძნებულნი და არც ექვემდებარებიან საზოგადო სკოლების კანონ-დებულებას. ობლების აღზრდა ერთი აუცილებელი მოვალეობაა სახელმწიფოსათვის, რომელსაც შეურყეველ კანონად აქვს აღზარდოს ობლებიდგან კეთილ-სინიდისიანი მოქალაქენი და სამშობლოს შვილნი

სანიმუშოდ ავიღოთ ის ობლების სკოლა, რომელიც დაარსებულია ბერლინში იმპერატორის ფრიდრიხის სახსოვრად. ამ სასწავლებელში იღებენ იმ ბავშვებს, რომლებსაც არც დედა ჰყავთ და არც მამა. ბავშვი შესრულდება თუ არა ექვსის წლისა, აუცილებლივ სკოლაში მიიყვანენ, შეიძლება ის ბავშვებიც იყვნენ მიღებულნი, რომლებიც სრულიად ობლები არ არიან, მხოლოდ ერთი მშობელთაგანი რომელიმე ჰყავს სნეული და უძლური. სკოლის შენობაში არსებობს განსაკუთრებითი სამკურნალო, რომლითაც ობოლ მოწაფეთა გარდა, უფასოთ სარგებლობენ სხვა გარეშე ობლებიც.

ობლების სადგომი ოთახები დაყოფილია რამოდენიმე განყოფილებათ. ერთს განსაკუთრებითი შენობაში იღებენ ექვსი წლიდგან თოთხმეტამდე. ყველა ეს ბავშვები შეადგენენ ერთს ოჯახს; უფროსი მოწაფეები მაგალითობას და მზრუნველობას უწევენ უმცროსებს და ეხმარებიან. სულ შვიდი შენობისაგან შესდგება მთელი ობლების სასწავლებელი და ბავშვი ვიდრე სწავლას დაამთავრებდეს იქ სცხოვრობს. ძირის სართულში საცხოვრებელი ადგილია, მეორეს და მესამე სართულში დასაძინებელი ოთახები, თითო ოთახში 25 საწოლია. მთელი შენობის გარშემო გაშენებულია მშვენიერი ხილის ბაღები და ბოსტნები. ყველა ეს ბაღები ობოლი მოწაფეების ხელით მუშავდება გამოცდილ მებაღეთა ხელ-მძღვანელობით. სასწავლო კლასები განცალკევებულია და რიცხვით რვა არის. განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეულია გიმნასტიკასა და ფიზიკურს განვითარებაზედ. კვირაში ოთხი საათი გიმნასტიკის გაკვეთილი აქვთ. ამ სასწავლებელში ბავშვები 15 წლამდე სწავლებენ. ასწავლიან ყოველ გვარ ხელობას და ზოგიერთა ნიჭიერი ბავშვები მასწავლებლობის ხარისხსაც იმსახურებენ. ამ რიგათ გერმანელი ობლები უპატრონოდ არ იღუპებიან და ცხოვრებაში ლუკმა-პურს თავიანთის პატიოსანი შრომით შოულობენ.

ივ. კავთელი

## ყურმოკრული საუბარი

— ეს როგორ შეიძლება, თქვენ თურმე, სასტუმროში დაიარებით სასადილოთ და თქვენი ცოლ-შვილი კი შინ მშივრები ღამის დაიხოცოს?

— მერე აქ რა არის გასაკვირველი, სახლში იმიტომ არ მივდივარ, რომ ხაჭმელი არ მეგულება.

—

მომრიგებელი მოსამართლე უკმაყოფილოდ ეკითხება ჭორაძეს:

— მე დიდად მაკვირვებს თქვენი საქციელი, რომ ისე დღე არ გავა, თქვენ არავის მოწამეთ არ იყოთ?!

— აქ არაფერია, ბ. მოსამართლევ, საკვირველი? [illegible] საქმეს თქვენ არჩევთ, მაგრამ მე სრულიადაც არ მიკვირსო, უპასუხა ჭორაძემ.

—

— ბიჭო, ცეცხლი მომართვი! უბრძანა თავ-მოყვარე ბატონმა მოსამსახურეს. მან ჯიბიდან კვეს-აბედი ამოიღო, მსწრაფლ დაუკვესა და მიართვა.

— ბიჭო! რადა კაჟებს უჩხაკუნებდი-აგერ ბუხარში არ იყო ცეცხლი?

— მე მეგონა აბედის ცეცხლი გეამებოდათ, რადგან თვით ცეცხლის პირას ბრძანდებოდითო!.. უპასუხა მსახურმა.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ნოემბერი

**პეტერბურგი.** მოსკოვს, მიტავას, კოვნოს, ვიტებსკს და გროდნოში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი მ. ნ. მურავიევის მოსახსენებლად.

**ყაზანი.** აქ მოვიდა უფროსი რწმუნებული წითელის ჯვრის საზოგადოებისა გენერალი შვედოვი და მასთან ერთად გამოგზავნილი კაცები, რომელთაც მოუსავლობისაგან დაზარალებულს ადგილებში მცხოვრებლებისათვის დახმარების საქმე უნდა მოაწყონ.

**პარიჟი.** ნაშუადღევის 5 საათზე ძლიერი აფეთქება მოხდა შამპოს რესტორანის სარდაფში, რომლის ზედა სართულში მოთავსებულია „ჰავასის სააგენტოს“ ბიურო. სარდაფში მოკვდა 1 კაცი; მეორე კაცი და 1 დედაკაცი, რომელნიც ქუჩაზე მიდიოდნენ, ძლიერ არიან დაშავებულნი. ფიქრობენ, აფეთქება ალკოგოლის გაზისაგან წარმოსდგაო. გამოძიებას შეუდგნენ.


## განცხადებანი

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

მ. ღადიმის გამოცემული წიგნები:

| | |
|---|---|
| რჩეული ლექსები და უკვდავი სარდალი, ცახელისა | 10 კ. |
| ნათელა, პოემა აკაკისა | 20 კ. |
| გამზრდელი, მისივე | 5 „ |
| მოდა | 5 „ |
| საუკეთესო ლექსა კრება | 5 „ |
| მარო, დ. მაჩხანელისა | 3 „ |

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად

პოემების კრებული

| | |
|---|---|
| აჩრდილი, მომაკვდავის ჩვენება და იმედი | 5 კ. |

(50—1)

Принимается подписка

на **полное иллюстрированное и комментированное собраніе сочиненій**

# ШИЛЛЕРА

съ иллюстраціями Каульбаха, Лиценъ-Майера и др. и комментаріями по Дюнцеру, Шерру, Карьеру, Фигофу и др.. Изданіе выходитъ выпусками: всѣхъ выпусковъ будетъ 30, что составитъ около 2000 страницъ. Первый выпускъ выйдетъ къ 15 октября 1898 г., второй черезъ мѣсяцъ послѣ перваго; начиная съ третьяго, выпуски будутъ выходить черезъ двѣ недѣ[ли].

**Цѣна безъ доставки 8 руб., съ доставкою и пересылкой 10 руб.**

*Допускается разсрочка:* при подпискѣ вносится 2 руб. (съ пересылкою 3 р.) послѣ выхода 2-го выпуска 1 руб. и затѣмъ ежемѣсячно по 1 рублю.

Подписка принимается у книгопродовца Голованова. **Москва, Большая Никитская, домъ кн. Шаховской-Глѣбовой-Стрѣшневой.**

ТАМЪ ЖЕ ПРОДАЕТСЯ КНИГА

**Данте.** АДЪ. Пер. Н. Голованова, съ 24 рисунками Густава Доре и 587 примѣчаніями. Текстъ перевода просмотрѣнъ проф. Буслаевымъ. Допущенъ У. К. М. Н. Пр. въ безплатныя читальни. Цѣна **2** руб.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1899 г.

# ПРИРОДА И ЛЮДИ

Издается съ 1889 г.—Подписной годъ съ 1-го Ноября.

5 Руб. **на годъ** *безъ доставки въ Спб.*; въ Москвѣ въ отдѣленіи главной конторы журнала «Природа и Люди» (д. Петровскихъ Торг. л., у Н. Печковской) *5 р. 50 к.*; съ дост. въ Спб. и Москвѣ и перес. во всѣ гор. Россіи *ШЕСТЬ руб.* Допускается разсрочка: при подп. 2 р., къ 1 Марта 1 р., къ 1 Мая 1 р. и къ 1 Іюля остальныя.

*Пробный номеръ высылается за 7 коп. марку.*

52 **Иллюстрированныхъ №№** каждый въ размѣрѣ 2 листовъ большаго формата (*16 страницъ плотной печати*) заключаетъ въ себѣ разнообразное, интересное и полезное чтеніе. Девизъ журнала «польза и развлеченіе». Редакція тщательно избѣгаетъ всего, что отзываетъ сухостью, всего что можетъ наводить скуку на читателя.

12 **ИЛЛЮСТРИРОВАН. ВЫПУСКОВЪ** (болѣе 300 рисун.) „Полезной библіотеки“

„Земля и ея народы“ составляющихъ два *тома* соч. Гельвальда («Живописная Европа», „Живописная Африка», «Живописная Австралія съ Океаніей» и «Полярныя страны»).

И, кромѣ того, *новое* безплатное приложеніе

12 ТОМОВЪ сочиненій **ГУСТАВА ЭМАРА** Объемомъ болѣе 3.000 стран. большаго формата убористой печати.

Журналъ «*Природа и Люди*», вступая въ десятый годъ изданія, будетъ по прежнему неуклонно идти къ своей цѣли—быть общедоступнымъ журналомъ *для семейнаго чтенія*, равно *интереснымъ для всѣхъ и каждаго*. Постоянно возростающее число подписчиковъ указываетъ на потребность такого журнала въ нашемъ обществѣ и на успѣхъ его.

Подписка принимается въ главной конторѣ: С.-Петербургъ, Стремянная, собств. домъ, № 12.

Издатель *П. Сойкинъ.* (4—2) Редакторъ *Ф. Груздевъ.*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Ноября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი გ. წერეთელი